

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

i

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ii-iv

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

5

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

7

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

9-35

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 28 მარტს:


გიორგი ფარესიშვილი

გენერალური დირექტორი



ნინო ქურდიანი

ფინანსური დირექტორი



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ აქციონერებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ სრული შემოსავლების, კონსოლიდირებულ საკუთარ კაპიტალში ცვლილებების, და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების თანდართული შენიშვნებისგან მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია,
- ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფმა ვეღარ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმო..
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 მარტი 2019

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე



კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


	შენიშვნა	2018 ლარი	2017 ლარი
საკომისიო და საწევრო შემოსავლები	3	231,617	225,546
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	4	237,568	199,702
სხვა საოპერაციო შემოსავალი		18,110	19,308
სულ საოპერაციო შემოსავალი		487,295	444,556
ხელფასის და პრემიის ხარჯი		(623,748)	(442,898)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(148,166)	(78,726)
იჯარა და კომუნალური ხარჯები		(112,776)	(110,220)
საკონსულტაციო ხარჯი		(88,489)	(99,704)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	13	(29,431)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	(24,994)	(23,485)
კომუნიკაციის ხარჯი		(12,278)	(12,386)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		1,140	-
ფინანსური შემოსავალი	5	123,728	97,668
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	6	37,324	(109,404)
მოგება დაბეგვრამდე		(390,395)	(334,599)
მოგების გადასახადი			(259)
წლის ზარალი		(390,395)	(334,858)
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში			-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(390,395)	(334,858)
განაწილება:			
ჯგუფის აქციონერებზე		(281,383)	(205,324)
არამაკონტროლებელ წილზე		(109,012)	(129,534)
სულ		(390,395)	(334,858)
		ლარი	ლარი
შემოსავალი ერთ აქციაზე		(0.13)	(0.111)
შემოსავალი ერთ აქციაზე მშობელი კომპანიის მფლობელებისთვის		(0.094)	(0.068)

გიორგი ფარესიშვილი

გენერალური დირექტორი

ნინო ქურდიანი

ფინანსური დირექტორი



კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით



აქტივები		31.12.2018	31.12.2017
გრძელვადიანი აქტივები	შენიშვნა	ლარი	ლარი
ძირითადი საშუალებები	7	42,210	55,874
არამატერიალური აქტივები	8	46,571	12,797
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	9	1,085,006	1,062,731
ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	10	54,085	54,085
წინასწარი გადახდა	11	711,685	516,279
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,939,557	1,701,766
მიმდინარე აქტივები			
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივების მიმდინარე ნაწილი	9	525,636	-
საგადასახადო აქტივი		32,275	56,663
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	62,197	59,840
ფული და ფულის ექვივალენტები	14	635,681	1,709,452
სულ მიმდინარე აქტივები		1,255,789	1,825,955
სულ აქტივები		3,195,346	3,527,721
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	30,000	30,000
საემისიო კაპიტალი	15	922,849	922,849
გაუნაწილებელი მოგება		368,390	654,611
კაპიტალი მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის		1,321,239	1,607,460
არა-მაკონტროლებელი წილი		1,689,929	1,804,731
სულ კაპიტალი		3,011,168	3,412,191
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები		-	-
კრედიტორული და სხვა დავალიანება	16	133,569	65,530
გადასახდელი დივიდენდები		609	-
პრემიის ანარიცხი	17	50,000	50,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები		184,178	115,530
სულ ვალდებულებები		184,178	115,530
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3,195,346	3,527,721

გიორგი ფარესიშვილი

გენერალური დირექტორი

ნინო ქურდიანი

ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის


	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	ჯგუფის კუთვნილ ი წილი	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბერი	30,000	925,054	857,731	1,812,785	1,973,944	3,786,729
წლის მოგება	-	-	(205,325)	(205,325)	(129,534)	(334,859)
კორექტირება	-	(2,205)	2,205	-	-	-
არამაკონტროლებელ ზე გადახდილი	-	-	-	-	(39,679)	(39,679)
დივიდენდი						
2017 წლის 31 დეკემბერი	30,000	922,849	654,611	1,607,460	1,804,731	3,412,191
საადრიცხო პოლიტიკაში	-	-	(4,839)	(4,839)	(5,789)	(10,628)
ცვლილების გავლენა (შენიშვნა 2)						
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	30,000	922,849	649,773	1,602,622	1,798,941	3,401,563
წლის ზარალი	-	-	(281,383)	(281,383)	(109,012)	(390,395)
სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	30,000	922,849	368,390	1,321,239	1,689,929	3,011,168

გიორგი ფარესიშვილი

გენერალური დირექტორი

ნინო ქურდიანი

ფინანსური დირექტორი



კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	509,611	495,362
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(932,995)	(814,483)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრები	(423,384)	(319,121)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(259)
მიღებული პროცენტი	121,669	67,603
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(301,715)	(251,777)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი ობლიგაციის განადგება	-	181,677
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციის წმინდა ზრდა	(512,797)	(1,045,928)
წინასწარი გადახდა არამატერიალური აქტივის შესაძენად	11 (198,535)	(518,779)
არამატერიალური აქტივების და ძირითადი საშუალებების გაყიდვა	7,8 (40,483)	-
არამატერიალური აქტივების და ძირითადი საშუალებების შეძენა	7,8 -	(10,150)
საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(751,815)	(1,393,180)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შვილობილში არამაკონტროლებელ წილზე გაცემული დივიდენდები	-	(39,679)
აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	(1,743)	-
საფინანსო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(1,743)	(39,679)
ფული და ფულის ექვივალენტები		
1 იანვრის მდგომარეობით	14 1,709,452	3,493,742
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	(1,055,273)	(1,684,636)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(18,498)	(99,654)
31 დეკემბრის მდგომარეობით	14 635,681	1,709,452

გიორგი ფარესიშვილი

გენერალური დირექტორი

ნინო ქურდიანი

ფინანსური დირექტორი



1 ზოგადი ინფორმაცია

სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1999 წლის 12 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“, იხ. მე-3 განმარტებითი შენიშვნა) ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება; ფასიანი ქაღალდებით საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვა არამატერიალიზებული ფორმით; ფასიანი ქაღალდების რეესტრების წარმოება.

კომპანიის ძირითადი აქციონერები არიან: შპს „თიბისი კაპიტალი“ (17.33%), შპს „ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია“ (15.33%) და სს „გალტ ენდ თაგარტი“ (17.33%- (მათ შორის 2% ნომინალური მფლობელობით)). აღნიშნული აქციონერები ასევე არიან ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიის სს „თბილისის საფონდო ბირჟის“ 64,78% წილის მფლობელები (იხილეთ მე-3 განმარტებითი შენიშვნა), რომელსაც ჯგუფი კონსოლიდაციის მიზნებისთვის აღიარებს როგორც არამაკონტროლებელ წილს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

ჯგუფი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ბუნების მიხედვით. ჯგუფის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
გამარტივებითი შენიშვნები

მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ფასს 9:

ჯგუფმა ფასს 9 დანერგა 2018 წლის 1 იანვრიდან. სტანდარტით წარადგინა ფინანსური აქტივების ახალი კლასიფიკაციისა და შეფასები მოდელები.

ფინანსური აქტივი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამოიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს). მიუხედავად ამ მოთხოვნებისა, ფინანსური აქტივი შეიძლება შეუცვლელად იყოს რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით, რათა შეამციროს ეფექტი, ან აღმოფხვრას საბუღალტრო შეუსაბამობა.

მოგებაში ან ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისთვის, სტანდარტი მოითხოვს რომ რეალურ ღირებულებაში ცვლილება, რომელიც უკავშირდება საწარმოს საკრედიტო რისკს, აისახოს სხვა სრულ შემოსავალში (OCI- ში) (თუ ეს არ წამოშობს საბუღალტრო შეუსაბამობას). ახალი გამარტივებული ჰეჯირების აღრიცხვა მიზნად ისახავს საბუღალტრო გატარებების უფრო მჭიდროდ დაკავშირებას კომპანიის რიკს-მენეჯმენტის საქმიანობასთან.

განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის" ("ECL") მოდელს რეზერვის შეფასებისთვის. გაუფასურება ფასდება 12 - თვიანი ECL მეთოდის გამოყენებით, თუ საფინანსო ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რომლის დროსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ECL მეთოდი უკვე დანერგილი.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის შესაძლებელია მთელი სიცოცხლის მანძილზე რეზერვის შექმნა.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები
ფასს 15:

ჯგუფმა ფასს 15 2018 წლის 1 იანვრიდან აქვს დანერგილი. სტანდარტი განსაზღვრავს შემოსავლების აღიარების ერთიან მოდელს.

სტანდარტის ძირითადი პრინციპია ის, რომ საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

სტანდარტში წარმოდგენილია ახალი კონტრაქტზე-დაფუძნებული შემოსავლების აღიარების მოდელი შეფასების ისეთი მეთოდით, რომელიც ეფუძნება გარიგების ფასის მიკუთვნებას. ეს აღწერილია შემდგომში ქვემოთ

მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. საკრედიტო რისკი წარმოდგენილია ცალკე როგორც ხარჯი, ვიდრე კორექტირებული ამონაგების შემოსავლის შეპირისპირებულად.

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, სახელშეკრულებო აქტივი, ან მოთხოვნა, რაც დამოკიდებულია საწარმოს შესრულების ტიპზე და კლიენტის გადახდაზე. დამკვეთის შეძენის ხარჯები და ხარჯები ხელშეკრულების შესასრულებლად, გარკვეულ კრიტერიუმებს ექვემდებარება, შესაძლებელია კაპიტალიზდეს როგორც აქტივი და ამორტიზირდეს ხელშეკრულების პერიოდის განმავლობაში.

ახალი სტანდარტების დანერგვის გავლენა

ფასს 9 და ფასს 15 მიღებულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. შედეგად მიღებული გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაკორექტირებულია, რადგან მისი შეუქცევადად დაკორექტირება შეუძლებელია. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მათი გავლენა წარმოდგენილია ქვემოთ:

	1 იანვარი 2018
ფინანსური ანგარიშგების არე	ლარი
ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის (ხარჯი)/აღდგენა (ფასს 9)	(10,628)
შემოსავლები (ფასს 15)	-
გაუნაწილებელ მოგებაზე გავლენა 1 იანვრის მდგომარეობით	(10,628)

ფინანსური ინსტრუმენტების (ფასს 9) ცვლილება დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით:

	ბასს 39 საბალანსო ღირებულება 31.12.2017	რეკლასი ფიკაცია	შეფასების ცვლილება	ფასს 9 საბალანსო ღირებულება 1.1.2018
ამორტიზირებული ღირებულებით	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	59,840	-	-	59,840
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	1,062,731	-	(10,628)	1,052,103
სულ	1,122,571	-	(10,628)	1,111,943

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

ახალი ფასს 9 - ის შედეგად აქტივების შეფასების კატეგორია არ შეცვლილა, ფინანსური აქტივები როგორც ძველი, ასევე ახალი სტანდარტით შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, თუმცა განსხვავება გამოწვეულია ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებაში. განახლებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ახალი მოთხოვნები იყენებს "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ("ECL") მოდელს გაუფასურების ანარიცხის შექმნისთვის, მაშინ როდესაც ძველი სტანდარტი ბასს 39 გაუფასურების ანარიცხის შეფასებისას მსგავსი შეფასების მოდელი არ იყო რელევანტური და კომპანია გაუფასურების ანარიცხს ქმნიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც იყო ამის ობიექტური მტკიცებულება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ანგარიშგების ელემენტების შედარება ძველი და ახალი სტანდარტით:

	ახალი სტანდარტი	ძველი სტანდარტით	სხვაობა
საოპერაციო შემოსავლები	487,295	487,295	-
ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის (ხარჯი)/აღდგენა	(29,431)	(23,790)	(5,641)
ფინანსური შემოსავალი	123,728	123,728	-
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	37,324	37,324	-
სხვა დანარჩენი ხარჯი/წმინდა	(1,009,311)	(1,009,311)	-
ზარალი დაბეგრამდე	(390,395)	(384,754)	(5,641)
წლის ზარალი	(390,395)	(384,754)	(5,641)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	62,197	62,197	-
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	1,610,642	1,626,911	(16,269)
სხვა დანარჩენი აქტივები	1,522,507	1,522,507	-
სულ აქტივები	3,195,346	3,211,615	(16,269)
ვალდებულებები	134,178	134,178	-
პრემიის ანარიცხი	50,000	50,000	-
სულ ვალდებულებები	184,178	184,178	-
წმინდა აქტივები	3,011,168	3,027,437	(16,269)

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. ჯგუფმა შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნალკები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. დირექტორების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს ჯგუფი, მას შემდეგ რაც

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

ის გახდება სავალდებულო. თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფასს 17 დაზღვევის ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის მაისში) - სტანდარტი, რომელიც შეცვლის ფასს 4-ს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან ან/და შემდგომ პერიოდებში (ადრეული გამოყენება დაშვებულია მხოლოდ მაშინ როდესაც საწარმო იყენებს ფასს 9-ს და ფასს 15-ს) რომლის თანახმადაც, სადაზღვეო ვალდებულება განისაზღვრება მიმდინარე შესრულების ღირებულებით და წარმოადგენს შედარებით სრულ საზომ და წარმოსადგენ მიდგომას ყველა ტიპის სადაზღვეო გარიგებისთვის. ზემოხსენებული მოთხოვნები შექმნილია იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას სადაზღვეო გარიგებების თანმიმდევრული, პრინციპებზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვა, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს საშუალებას მისცემს შეაფასოს ეფექტი, რომელიც აქვთ სადაზღვეო ხელშეკრულებებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მის ფინანსურ შედეგებზე და ფულად ნაკადებზე. სტანდარტი ასევე მოითხოვს რომ იგივე პრინციპით აღრიცხოს გადაზღვევისა და დისკრეციული მონაწილეობის მახასიათებლებით გაცემული საინვესტიციო ხელშეკრულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფს არ გააჩნია როგორც გამოცემული დაზღვევის ხელშეკრულებები, ასევე გადაზღვევის ხელშეკრულებები, სტანდარტს არ აქვს მოსალოდნელი ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

ჯგუფი შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

(გ) კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანია ეწოდება იმ საწარმოს, სადაც დედა კომპანიას გააჩნია საარჩევნო ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქვითება მთლიანად.

შვილობილი კომპანიის შემენის აღსარიცხავად გამოიყენება შემენის მეთოდი. შესყიდული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად განისაზღვრება მათი რეალური ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ შესყიდვის ღირებულება აჭარბებს კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას, მაშინ ხდება გუდვილის აღიარება. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კომპანიის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ეს სხვაობა აღიარდება პირდაპირ კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უმცირესობის წილი არის წილი შვილობილ კომპანიაში, რომელიც არ ეკუთვნის დედა კომპანიას. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიის უმცირესობაში მყოფი აქციონერების წილის ღირებულებას. ჯგუფი

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

არამაკონტროლებელ წილს აფასებს შვილობილის წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

ჯგუფის შიგნით მომხდარი წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას აღირიცხება როგორც ტრანზაქცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმის შესაბამისად, თუ როგორ შეიცვალა მფლობელების წილი შვილობილებში. ნებისმიერი სხვაობა მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებასა და არა-მაკონტროლებელი წილის ნაშთის ცვლილებას შორის, აღიარდება პირდაპირ კაპიტალის მუხლში, რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიის მფლობელებს.

მეკავშირე კომპანია, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ინვესტიცია მეკავშირე კომპანიაში აღირიცხება კაპიტალ მეთოდით.

ჯგუფი მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს, რომლებიც კონსოლიდირებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში:

		2018		2017	
	მისამართი	მფლობელობა	ლარი	მფლობელობა	ლარი
სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების დენტრალგაური დეპოზიტარი“	ვაჟა ფშაველას გამზირი 71				
პირდაპირი ფლობა		24.65%	100,000	24.65%	100,000
არაპირდაპირი ფლობა		26.44%	-	26.44%	-
სს „თბილისის საფონდო ბირჟა“	ვაჟა ფშაველას გამზირი 71				
პირდაპირი ფლობა		35.22%	100,000	35.22%	100,000
სს „კავკასრეესტრი“	ვაჟა ფშაველას გამზირი 71				
პირდაპირი ფლობა		57.86%	9,134	57.86%	9,134
სულ			209,134		209,134

კომპანიამ სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ („თსბ“) დააფუძნა 2015 წლის 7 მაისს. დაფუძნების მიზანი იყო ბიზნესის განვითარებისთვის სახსრების დაუბრკოლებლად მოზიდვა „თსბ-ს“ აქციების რეალიზაციის გზით (კომპანიას საკუთარი სააქციო კაპიტალის გაზრდა, წესდების თანახმად, არ შეუძლია აქციონერთა 75%-ის თანხმობის გარეშე). კომპანიის მინორიტარმა აქციონერებმა, რომლებიც ფლობენ კომპანიის აქციათა 38%-ს, სასამართლოში გაასაჩივრეს „თსბ-ს“ დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება. აღნიშნული დავა პირველი ინსტანციის სასამართლოში დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ. დავის დეტალები აღწერილია მე-19 განმარტებით შენიშვნაში. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „თსბ“ დაფუძნებულია მოქმედ კანონმდებლობასთან და წესდებასთან სრულ შესაბამისობაში.

2016 წლის დეკემბერში „თსბ-მ“ გამოუშვა 183,897 ცალი ჩვეულებრივი აქცია, რომლებიც შეისყიდა შპს „გალტ ენდ თაგარტმა“, შპს „თბილისი კაპიტალმა“ და შპს „ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯიამ“, მიღებულმა კომპენსაციამ შეადგინა 2,455,025 ლარი, რის შემდეგაც წილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

„საქართველოს საფონდო ბირჟა“ 35,22%;

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

განმარტებითი შენიშვნები

სს „გალთ ენდ თაგარტი“	21,59%;
შპს „თიბისი კაპიტალი“	21,59%;
შპს „ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია“	21,59%.

მიუხედავად იმისა რომ კომპანიას შეუმცირდა წილი სს „თსბ-ში“ 35,22 %-მდე, იგი მაინც ინარჩუნებს კონტროლს მასზე, და მის შედეგებს ასახავს საკუთარ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. კონტროლი შენარჩუნებულია შემდეგი ფაქტებით:

- “თსბ“ სამეთვალყურო საბჭოს შემადგენლობაში შემავალი პირები ასევე არიან დამფუძნებელი კომპანიის სამეთვალყურო საბჭოს წევრები.
- „თსბ-ის“ დანარჩენი აქციონერები ამავდროულად არიან დამფუძნებელი კომპანიის აქციონერები პირდაპირ ან დაკავშირებული მხარეების (საერთო საბოლოო ბენეფიციარი მფლობელის) მეშვეობით. ეს აქციონერები ერთობლივად ფლობენ „თსბ“-ის 64.78%-ს და დამფუძნებლის 52%-ს.
- დამფუძნებელ კომპანიას და „თსბ-ს“ ჰყავს ერთი და იგივე გენერალური დირექტორი.

2016 წლის 23 დეკემბერს „თსბ-მ“ შეისყიდა „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ 304,499 ცალი ჩვეულებრივი აქცია. ამ ინვესტიციით “თსბ” გახდა „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ 75.06% წილის მფლობელი. აღნიშნული გარიგებების შედეგად სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“-ში აკონტროლებს 51.09%-ს (აქედან არაპირდაპირ სს თბილისის საფონდო ბირჟის“ საშუალებით 26,44%-ს) და ასახავს მას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის 2016 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული ოპერაცია წარმოადგენს შიდაჯგუფურ ოპერაციას, რის გამოც ტრანზაქციის შედეგად მიღებული შემოსავლები ელიმინირდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, იცვლება მხოლოდ წილების გადანაწილება, მაკონტროლებელ და არამაკონტროლებლებს შორის, რის შედეგადაც ჯგუფში გაიზარდა არამაკონტროლებელი წილი. არამაკონტროლებელი წილის ზრდის შედეგად მიღებული სხვა მოგება/(ზარალი) ასახულია მე-16 განმარტებით შენიშვნაში.

სს „კავკასრეესტრი“ 2015 წლის 1 ოქტომბრამდე წარმოადგენდა მეკავშირე კომპანიას, რადგან კომპანიას სს „კავკასრეესტრზე“ ჰქონდა მნიშვნელოვანი ზეგავლენა და არა კონტროლი. 2015 წლის 1 ოქტომბრიდან კომპანიამ სს „კავკასრეესტრზე“ მოიპოვა კონტროლი. სს „კავკასრეესტრი“ ძირითადად ფლობს მაღალლიკვიდურ აქტივებს (ფული და ფულის ექვივალენტები და სხვა ფინანსური აქტივები) და შესაბამისად მისი წმინდა აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება წარმოადგენდა მათ რეალურ ღირებულებას 2015 წლის 1 ოქტომბერს. ამ თარიღამდე კომპანია ინვესტიციას სს „კავკასრეესტრში“, როგორც მეკავშირე კომპანიაში, აღრიცხავდა კაპიტალის მეთოდით და 2015 წლის 1 ოქტომბერს ამ მეთოდით აღრიცხული ინვესტიციის ღირებულება არ განსხვავდებოდა სს „კავკასრეესტრის“ წმინდა აქტივების ღირებულებისგან.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

(დ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე აღჭურვილობა	20% წრფივი;
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	14.29% -20% წრფივი.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებელ გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების 5 და 10-წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

(ვ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღის დღეს გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდიანებას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივი.

გამოყენების ეკონომიკური სარგებელი არის აქტივის/ერთეულის გამოთვლილი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულებების გამოთვლა წარმოებს დისკონტირების განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან / ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გაუფასურების ნიშნები, ყოველწლიურად ხდება აქტივების გაუფასურებაზე შემოწმება (ან უფრო ხშირად თუ მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუფასურებას).

(ზ) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას გაასხვისებს.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, ჯგუფი ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, ჯგუფი ქმნის რეზერვს რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება - ზარალში.

ამასთანავე, დებიტორული დავალიანებები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, ჯგუფი მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

სრულად მოხდება აქტივების აღიარება/აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ კომპანიის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

სხვა ფინანსური ვალდებულებები ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება კრედიტორული დავალიანება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

(თ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის:

	\$	€
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.68	3.07
საშუალო გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.53	2.99
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.59	3.10
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2.50	2.83

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

(ი) მოგების გადასახადი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები
(კ) ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

(ლ) კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ ჯგუფის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღემატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

ჯგუფი საემისიო კაპიტალში ასახავს შვილობილი კომპანიების აქციების გამოშვების შედეგად წარმოშობილ ისეთ შემოსულობას რომელიც წარმოიქმნება გამოშვებული ახალი აქციების არამაკონტროლებელ მხარეებზე გასხვისების შედეგად, ხოლო შიდაჯგუფური წილების ცვლილების შედეგად წარმოშობილ მოგება/(ზარალს), რომლის დროსაც შენარჩუნებულია კონტროლი მაკონტროლებელის მიერ ასახავს გაუნაწილებელ მოგების მუხლში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მტკიცდება მათი განაწილება აქციონერთა საერთო კრებაზე. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

ჯგუფი შვილობილებში არამაკონტროლებელ წილზე გაცემულ დივიდენდებს ასახავს კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ასახული არამაკონტროლებელი წილი, ასახულია წმინდა ღირებულებით (შემცირებული შვილობილში არამაკონტროლებელ წილზე გაცემული დივიდენდით).

გამოსყიდული საკუთარი აქციები

გამოსყიდული საკუთარი აქციების ფასი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება კაპიტალიდან გამოკლებით. მათი გაყიდვა ან ხელახალი გამოშვება აისახება როგორც კაპიტალის ზრდა. შედეგად, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ აისახება რაიმე სახის მოგება ან ზარალი გამოსყიდული აქციებიდან.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

3. საკომისიო და საწევრო შემოსავალი

	2018 ლარი	2017 ლარი
საკომისიო შემოსავალი	153,819	150,259
საწევრო შემოსავალი	77,798	75,287
სულ	231,617	225,546

4. მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი

	2018 ლარი	2017 ლარი
შემოსავალი ლისთინგიდან	102,655	68,161
შემოსავალი აქციების შენახვიდან	28,840	38,772
შემოსავალი რეესტრის წარმოებიდან	83,553	81,234
სხვა მომსახურებით მიღებული შემოსავლები	22,520	11,535
სულ	237,568	199,702

5 ფინანსური შემოსავალი

	2018 ლარი	2017 ლარი
საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებიდან	73,641	31,966
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	50,087	65,702
სულ	123,728	97,668

6. კურსთაშორის სხვაობით მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)

	ფული და ფულის ექვივალენტები ლარი	დებიტორული დავალიანება ლარი	კრედიტორული დავალიანება ლარი	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ლარი	სულ ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	75,196	9,898	195	149,695	234,984
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(92,780)	(6,359)	(151)	(98,370)	(197,660)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი) 2018 წლის განმავლობაში	(17,584)	3,539	44	51,325	37,324

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	211,070	19,699	448	136,924	368,141
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(385,640)	(20,158)	(380)	(71,367)	(477,545)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	(174,570)	(459)	68	65,557	(109,404)
2017 წლის განმავლობაში					

7. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	184,401	33,842	218,243
შეძენა	10,150	-	10,150
გასვლა	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	194,551	33,842	228,393
შეძენა	7,571	-	7,571
გასვლა	1,140	-	1,140
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200,982	33,842	234,824
ცვეთა და გაუფასურება			
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	138,659	12,384	151,043
ცვეთა წლის მანძილზე	15,510	5,966	21,476
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	154,169	18,350	172,519
ცვეთა წლის მანძილზე	13,623	6,538	20,161
დაგროვილი ცვეთა გასულ აქტივებზე	(66)	-	(66)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	167,726	24,888	192,614
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	45,742	21,458	67,200
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40,382	15,492	55,874
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33,256	8,954	42,210

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არის 118,921 ლარი.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

8. არამატერიალური აქტივები

	პროგრამები და ვებ-საიტი ლარი	სულ ლარი
ისტორიული ღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	24,804	24,804
შეძენა	-	-
გაყიდვა	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,804	24,804
შეძენა	38,700	38,700
გაყიდვა	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	63,504	63,504
ცვეთა და გაუფასურება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(9,997)	(9,997)
ცვეთა წლის მანძილზე	(2,011)	(2,011)
გაყიდვა	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(12,008)	(12,008)
ცვეთა წლის მანძილზე	(4,925)	(4,925)
გაყიდვა	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(16,933)	(16,933)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14,807	14,807
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,796	12,796
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	46,571	46,571

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად გაცვეთილი არამატერიალური აქტივების
საბალანსო ღირებულება არის 23,120 ლარი.

9. დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები

	ვალუტა	საწყისი თანხა ვალუტაში o	დაფარვის ვადა	სარგებელი	31.12.2018	31.12.2017
საინვესტიციო ჯგუფი "ბიჯეო"	აშშ დოლარი	195,000	სექტემბერი, 2019	5%	530,946	-
შპს "საქართველოს სალიზინგო კომპანია"	აშშ დოლარი	400,000	აგვისტო, 2020	7%	1,095,966	1,062,731
სულ გაუფასურების რეზერვამდე:					1,626,912	1,062,731
ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ანარიცხი (შენიშვნა N 13)					(16,271)	-
წმინდა დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები					1,610,642	1,062,731

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

წლის განმავლობაში ობლიგაციებიდან მიღებულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 20,830 ლარი (2016: 22,026 ლარი).

წლის განმავლობაში განადღებულმა/(დაფარულმა) ობლიგაციებმა შეადგინა 181,677 ლარი (2016: 104,509 ლარი).

საანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა არსებითი სხვაობა კუპონის განაკვეთსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის. გადახდის გრაფიკი, მოქმედ დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვეტიციებზე განსაზღვრულია ყოველ 6 თვეში ერთხელ კუპონის(პროცენტის) ჩარიცხვით და ვადის ბოლოს ძირითადი თანხის გადახდით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა მატერიალური სხვაობა დაფარვის ვადამდე ფლობილ ფინანსურ აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

10. ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში

ჯგუფი ფლობს სს „საქწყალპროექტის“ აქციათა 1.64%-ს, 2018 წლის განმავლობაში მიღებული დივიდენდი იყო - 2,732 ლარი. ჯგუფი 2017 წლის 31 დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა ბასს 39-ით რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ფინანსურ აქტივს ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგენდა დანახარჯების მეთოდით. 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ფასს 9-ის მიხედვით ჯგუფი ვალდებულია მსგავსი ფინანსური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინოს სამართლიანი ღირებულებით. ვინაიდან რეალური ღირებულების შესაფასებლად საჭირო ახალი ინფორმაცია არ არის ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი, ხელმძღვანელობამ გამოიყენა ფასს 9 ის ბ5.2.3 პუნქტით გათვალისწინებული გამოწვევის უფლება და რეალური ღირებულების მართებულ შეფასებად მიიჩნია თვითღირებულება როგორც 2018 წლის 1 იანვრის ასევე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

11. წინასწარ გადახდები არამატერიალურ აქტივებზე

	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
წინასწარ გადახდა არამატერიალური აქტივების შესყიდვებზე	606,436	425,343
არამატერიალური აქტივების შესყიდვებთან დაკავშირებული სხვა წინასწარი გადახდები	-	20,910
არადაბრუნებადი გადასახადები რომლებიც გაწეულ იქნა არამატერიალურ აქტივზე	105,249	70,026
სულ	711,685	516,279

არამატერიალური აქტივების შესყიდვისთვის წინასწარ გადახდა მოიცავს სააგანსო გადასახადს MONTRAN CORPORATION-ისთვის (ფუქციონირების მისამართი - 60E. 42ND Street, Suite 464 New York, USA.).

	2018	2017
საწყისი ბალანსი - 1 იანვრის მდგომარეობით	516,279-	-
გადახდა წლის განმავლობაში	216,628	516,279
გამოქვითვა წლის განმავლობაში	(21,222)	-
საბოლოო ბალანსი - 31 დეკემბრის მდგომარეობით	711,685	516,279

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 იანვარს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს“, სს „თბილისის საფონდო ბირჟას“ (შემდგომში „ჯგუფის წევრი კომპანიები“) და MONTRAN CORPORATION-ს შორის გაფორმდა ცალკ-ცალკე ინდივიდუალური ხელშეკრულებები. ჯგუფის წევრ კომპანიებთან გაფორმებული ინდივიდუალური კონტრაქტის საფუძველზე, MONTRAN CORPORATION-მა აიღო ახალი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის და მისი ტექნიკური მხარდაჭერის პასუხისმგებლობა. ორივე კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ ჯგუფის წევრი კომპანიები ისარგებლებენ თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფით, რითაც გაუმჯობესდება მათი მომსახურების ხარისხი და ეფექტურობა, დაინერგება მომსახურების ახალი სახეები. აღსანიშნავია, რომ აქამდე არსებული პროგრამული უზრუნველყოფები მორალურად თითქმის სრულად არის ამორტიზირებული და არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

2018 წლის დეკემბერში პროექტის პირველი ფაზა დასრულდა და პილოტურ რეჟიმში განხორციელდა პროგრამის გაშვება. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2019 წლის აპრილის დასაწყისში.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
დებიტორული დავალიანება	81,902	108,722
საექვო დავალიანების რეზერვი	(33,493)	(58,199)
წინასწარ გადახდები, სხვა აქტივები	13,788	9,317
სულ	62,197	59,840

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა მატერიალური სხვაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

13. ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხის ზრდა / შემცირება

	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	დებიტორული დავალიანები	სულ
2016 წლის 31 დეკემბერი	-	(37,408)	(37,408)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი	-	6,585	6,585
ამოღებული თანხები	-	(26,378)	(26,378)
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	-	(998)	(998)
2017 წლის 31 დეკემბერი	-	(58,199)	(58,199)
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტი (შენიშვნა 2)	(3,720)	(6,908)	(10,628)
2018 წლის 1 იანვარი	(3,720)	(65,107)	(68,827)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი	-	48,494	48,494
ამოღებული თანხები	-	2,917	2,917
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(12,551)	(19,797)	(32,348)
2018 წლის 31 დეკემბერი	(16,271)	(33,493)	(49,764)

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	2018 ლარი	2017 ლარი
ნაღდი ფული	1,066	1,211
ფული ბანკში	347,296	293,892
მოკლევადიანი დეპოზიტი	287,319	1,414,349
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	635,681	1,709,452

მოკლევადიანი დეპოზიტების წლიური საპროცენტო სარგებელი არის 1% დან 12.75% მდე. 2018 წლის განმავლობაში დეპოზიტებზე დარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 50,087 ლარი ხოლო 2017 წელს - 65,702 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა მატერიალური სხვაობა ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

15. სააქციო, საემისიო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 3,000,000 საერთო აქციებისგან; წილის თანაფარდობა შეადგენს 0.01 ლარს.

ჯგუფის საემისიო კაპიტალის ზრდა განპირობებულია თბილისის საფონდო ბირჟაში დამატებითი აქციების გამოშვებით (იხ. მე-2 განმარტებითი შენიშვნა).

16. კრედიტორული და სხვა დავალიანებები

	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
დავალიანება მომწოდებელის მიმართ	22,625	63,178
მიღებული ავანსები	110,872	-
გადასახდელი დივიდენდები	-	2,352
სხვა	72	
სულ	133,569	65,530

მიღებული ავანსები მოიცავს 3 მსხვილი კლიენტის სერვისით მომსახურების 5 წლის წინასწარ გადახდებს.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ ყოფილა მატერიალური სხვაობა კრედიტორული და სხვა დავალიანებების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

17. პრემიის ანარიცხი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა შექმნა ანარიცხი გენერალური დირექტორისთვის გადასახდელ პრემიაზე. მენეჯმენტის შეფასებით არსებობს 50% -ზე მეტი ალბათობა იმისა, რომ სამეთვალყურეო საბჭო დაამტკიცებს აღნიშნულ პრემიას.

	ლარი
ანარიცხი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
გადახდა	-
დარიცხვა	50,000
ანარიცხი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50,000
გადახდა	(50,000)
დარიცხვა	50,000
ანარიცხი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50,000

18. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (III) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

- (II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

- (III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

- (IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

- (V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

- (VI) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ძირითადი აქციონერები არიან: შპს "თიბისი კაპიტალი" (17.33%), შპს "ჯი სი ეფ ჰოლდინგს ჯორჯია" (15.33%) და სს"გალტ ენდ თაგგარტი " (17.33%- (მათ შორის 2% ნომინალური მფლობელობით).

	2018 ლარი	2017 ლარი
ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:		
შემოსავალი:		
ძირითადი აქციონერები	81,453	52,519
სხვა დაკავშირებული მხარეები	179,996	53,816
ხარჯი:		
სხვა დაკავშირებული მხარეები	2,634	3,476
	2018 ლარი	2017 ლარი
საბალანსო ნაშთები		
მოთხოვნა:		
ძირითადი აქციონერები	780	611
სხვა დაკავშირებული მხარეები	16,762	4,666
ვალდებულება:		
ძირითადი აქციონერები	85,345	1,067
	2018 ლარი	2017 ლარი
ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები		
საქართველოს ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები	159,093	537,829
თიბისი ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები	172,504	493,750
	2018 ლარი	2017 ლარი
ფასიანი ქაღალდები		
საინვესტიციო ჯგუფი "ბიჯეო"-ს ფასიანი ქაღალდები	525,636	-
"საქართველოს სალიზინგო კომპანიის" ფასიანი ქაღალდები	1,085,006	1,062,313
	2018 ლარი	2017 ლარი
ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება		
ხელფასები და პრემიები	313,526	257,667
	2018 ლარი	2017 ლარი
ხელმძღვანელობის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაშთი	50,000	50,000

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

19. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ორი ხელშეკრულება, რომელთაგან ერთის მოქმედების ვადა ამოიწურა 2018 წლის 5 ოქტომბერს, ხოლო მეორე განახლებადია ყოველწლიურად.

კომპანია მომავალში გადაიხდის საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
ერთი წლის ვადაში	98,152	80,037
ერთ წელზე მეტი, მაგრამ ხუთ წელზე ნაკლებ ვადაში	-	-
სულ იჯარის სამომავლო მინიმალური გადახდები	98,152	80,037

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მიმდინარე სასამართლო დავები

ჯგუფში შემავალ კომპანიებს აქვთ მიმდინარე სასამართლო დავა, რომლის ძირითადი საკითხებიც აღწერილია ქვემოთ:

- 1. მოსარჩელები:** სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (სსბ) 38%-ის მფლობელი მინორიტარი აქციონერები **მოპასუხე:** სს საქართველოს საფონდო ბირჟა (სსბ); სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ (თსბ);
- 2. დავის საგანი:**
სსბ-ს 100%-ით შვილობილი კომპანიის დაფუძნება და მისთვის საბირჟო საქმიანობისათვის საჭირო აქტივების გადაცემა.
- 3. დავის ამჟამინდელი სტატუსი:**

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

დავის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით:

1. 19.11.2018-ში მოსამართლემ დავა გადაწყვიტა მოპასუხის (სსბ-ს და თსბ-ს) სასარგებლოდ.
2. მინორიტარმა აქციონერებმა გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოში.
3. 28.03.2019-ის მდგომარეობით სააპელაციო სასამართლოში სხდომა არ ჩანიშნულა.

დავის უარყოფითად გადაწყვეტის ალბათობის შეფასება. ასევე, ზარალის მოცულობისა და დონის შეფასება - კომპანიის შეფასებით, აღნიშნული დავის უარყოფითად გადაწყვეტის ალბათობა არის დაბალი. შესაბამისად, არ არსებობს მოლოდინი რაიმე ტიპის ზარალის დადგომასთან დაკავშირებით.

20. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები	ლარი	ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	634,615	1,708,674
დებიტორული დავალიანება	48,409	50,523
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიცია	1,246,740	1,062,731
ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	1,983,849	2,876,013
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	23,266	65,530
სულ ფინანსური ვალდებულებები	23,266	65,530

საკრედიტო რისკი

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31.12.2018 ლარი	31.12.2017 ლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	634,615	1,708,674
დებიტორული დავალიანება	48,409	50,523
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიცია	1,246,740	1,062,731
ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	1,983,849	2,876,013

ფული და ფულის ექვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისათვის. დებიტორული დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

ჯგუფი იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია ჯგუფის მიერ.
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ჯგუფის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარაჟი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ჯგუფი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2018 წლის დასაწყისში ასევე 2018 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ

ვადაგადაცილებული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ლიკვიდურობის რისკი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	634,615	-	-	634,615
დებიტორული დავალიანება	48,409	-	-	48,409
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში	529,312	717,428	-	1,246,740
	-	-	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	1,212,336	717,428	54,085	1,983,849
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	23,266	-	-	23,266
სულ ფინანსური ვალდებულებები	23,266	-	-	23,266
ლიკვიდურობის პოზიცია	1,189,070	717,428	54,085	1,960,583

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები

ლიკვიდურობის რისკი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,708,674	-	-	1,708,674
დებიტორული დავალიანება	50,523	-	-	50,523
დაფარვის ვადამდე ფლობილი	-	1,062,731	-	1,062,731
ინვესტიცია ფასიან ქალაქებში	-	-	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	1,759,197	1,062,731	54,085	2,876,013
ფინანსური ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	65,530	-	-	65,530
სულ ფინანსური ვალდებულებები	65,530	-	-	65,530
ლიკვიდურობის პოზიცია	1,693,667	717,428	54,085	2,810,483

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

წლიურ %-ში	31.12.2018		31.12.2017	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ექვივალენტები	5.5-9.5%	0.5-0.75%	5.5-12%	0.5-0.75%
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	-	5%; 7%	-	7%

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განთავსებას.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას უცხოურ ვალუტაში ჰქონდა მხოლოდ შემდეგი ნაშთები:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
აშშ დოლარი	199,243	50,938	1,610,641	1,860,822
ევრო	5,792	-	-	5,792
ფუნტი	1,087	-	-	1,087
სულ	206,122	50,938	1,610,641	1,867,701

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
აშშ დოლარი	1,058,876	6,999	1,062,731	2,128,606
ევრო	4,334	-	-	4,334
ფუნტი	940	-	-	940
სულ	1,064,150	6,999	1,062,731	2,133,880

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 182,082 ლარით (2017: 212,860 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 579 ლარით (2017: 433 ლარით).

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ფუნტის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 109 ლარით (2017: 94 ლარით).

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.